ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს,

ბ. ზურაბ აბაშიძეს, მოქალაქის:

სახელი-გვარი: ნინო რუხაძე

პ.ნ: 01017013788

მცხ.: დანიელ ჭონქაძის #14, ბ.5

ტელ: 591 915 505

ელ-ფოსტა: nino.rukhadze@tsu.ge

# განცხადება

ბატონო ზურაბ, გაცნობებთ, რომ მე, ნინო რუხაძეს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს VII მოწვევის წევრს მსურს საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგინოთ 2024 წლის 1 ნოემბრიდან 2025 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში.

პატივისცემით,

11.19.2025

***ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ნინო რუხაძის ანგარიში 01/11/2024 – 31/10/2025 პერიოდში განხორციელებული საქმიანობის შესახებ***

საანგარიშგებო პერიოდში აქტიურად ვღებულობდი მონაწილეობას გაერთიანებული ქალაქებისა და ადგილობრივი მთავრობების საერთაშორისო ორგანიზაციის (United Cities and Local Governments) ინსტიტუციური განვითარების საკითხებთან დაკავშირებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში.

UCLG წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობების და თვითმმართველობების ასოციაციების გამაერთიანებელ უნივერსალურ საერთაშორისო ორგანიზაციას. UCLG-ის ინსტიტუციურ საკითხებთან დაკავშირებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ჩემი საქმიანობის მთავარი ფოკუსი იყო სამართლებრივი გარანტიების შექმნა, რათა არამართლზომიერ და არალეგიტიმურ ტერიტორიულ ერთეულებს არ გააჩნდეთ დაშვება UCLG-ის სისტემაში, მათ შორის მის რეგიონულ სექციებში.

ამ ძალისხმევის შედეგად ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოსა და მსოფლიო საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპები და გაეროს რეზოლუციები უნდა იყოს სათანადოდ დაცული UCLG-ის მსოფლიო ორგანიზაციასა და მის რეგიონულ სექციებში.

ამასთან ერთად, საანგარიშგებო პერიოდში ვმონაწილეობდი:

- საკრებულოს 16 სხდომაში, 104 დადგენილებისა და 724 განკარგულების მიღებაში;
- იურიდიული და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის 19 სხდომასა და 483 საკითხის განხილვაში;
- ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის 3 სხდომასა და 15 საკითხის განხილვაში;
- გარემოს დაცვის კომისიის 9 სხდომასა და 59 საკითხის განხილვაში;
- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ 16 სხდომასა და 29 საკითხის განხილვაში.